საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

19/08/2025

MES 0 25 0000997391

გადაწყვეტილება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2" - ის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 275 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 276 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №652510 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1"-ის და "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2"-ის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) საბჭომ 1.4 კომპონენტში არსებული შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია არ გაიზიარა:

„რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განახლდეს პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რათა აისახოს სასწავლო გეგმების და სწავლის შედეგების ამჟამინდელი ვერსიები და მათში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები, რაც გაზრდის პროგრამების ცნობადობას“.

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა არ გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება.

ბ) საბჭომ 4.4 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაციის ფორმულირება შეცვალა და ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:

„რეკომენდებულია, გამდიდრდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია ძირითადი რესურსებითა და ინფრასტრუქტურით.“

აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 4.4 კომპონენტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2" - ს მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1"-ის და "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2"-ის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 19 აგვისტოს №999298 ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მოცემულ სილაბუსებში მოხდეს სწავლის შედეგების დიფერენცირება სილაბუსების შინაარსისა და თემატიკის შესაბამისად ა) პროგრამაში წარმოდგენილია ბუნებისმეტყველების სწავლების სილაბუსი, თუმცა მიზნებსა და სწავლის შედეგებში სრულიად არ არის ასახული ამ მიმართულების სპეციფიკა, რის გამოც სილაბუსი მხოლოდ ზოგად შთაბეჭდილებას ტოვებს. ბ) პროგრამის შემდეგ სილაბუსებში მოცემულია იდენტური შედეგები: კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 1 და 2 და მათემატიკის სწავლების მეთოდიკა 1 და 2. გ)პროგრამაში მოცემულ სილაბუსში „ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა“ ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში მოცემულია გერმანული ენის სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. დ) ბუნებისმეტყველების დიდაქტიკის სილაბუსის მიზნებსა და სწავლის შედეგებში უნდა აისახოს ამ მიმართულების სპეციფიკა და შინაარსი;
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ოფიციალურად დაამტკიცოს და თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გამოცდის პროცედურების სრულყოფილი დოკუმენტი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს საუნივერსიტეტო გამოცდის შინაარსს, ფორმატსა და შეფასების კრიტერიუმებს. რითაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისობა შეფასების სისტემასა და შეფასების რუბრიკას შორის, რაც გაზრდის გამჭვირვალობას და აპლიკანტებს მისცემს სათანადოდ მომზადების საშუალებას;
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების მიერ რეალურ სასწავლო გარემოში ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა;
- რეკომენდებულია, რომ შეთანხმებებში/ მემორანდუმებში ან მათ დანართებში ცალსახად იყოს მითითებული სტაჟირებაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა;
- რეკომენდებულია, პროგრამის ოპტიმიზაცია აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის გადახედვისა და გარკვეული კურსების სხვა კვალიფიციური პირებისთვის გადანაწილების გზით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პასუხისმგებლობების უფრო დაბალანსებულ და ეფექტიან განაწილებას;
- რეკომენდებულია, გამდიდრდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია ძირითადი რესურსებითა და ინფრასტრუქტურით;
- რეკომენდებულია, დაკორექტირდეს და გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის კითხვარების სტრუქტურა და შინაარსი იმისათვის, რომ იყოს მკაფიო, დაბალანსებული და ეფექტური.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 05 აგვისტოდან.

6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 05 აგვისტო.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ეროვნული სააგენტო
ზუსტმეცნიერებათა
ეროვნული